№ 167

პარასკევი, 5 აგვისტო 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 167

პარასკევი, 5 აგვისტო 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთი დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

## „ივერია"

გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
**ტფილისი,**
**„ივერიის" რედაქციას**
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

## დეპეშა

3 აგვისტო

**პეტერბურგი.** ს.-პეტერბურგის ბირჟა: სადგილ-მამულო ბანკების გირავნობის ფურცლებს აფასებენ: ტფილისისას 6%-ს—101 3/4 მან., 5%-ს—100 1/2 მან.; ქუთაისისას 102 მან., 5%-ს—100 1/2 მან., ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებში იძლევიან 98 3/4 მან.

გუშინ შუადღისას დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე მეუღლითურთ ყირიმს გაემგზავრა მამულს „აიტოდორში".

**რომი.** პოლიციამ აღმოაჩინა რომში ამაფეთქებელ ყუმბარების მკეთებელნი; დაპატიმრებულია 7 კაცი; ამათ ერთი გაკეთებული ყუმბარაც უპოვნეს; შეპყრობილნი სამართალში იქმნებიან მიცემულნი და დაისჯებიან ახალის, ანარქისტთა წინააღმდეგ შემოღებულის კანონით.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ კავკასიის გზათა ოლქის უფროსი ბ. ი. სტატკოვსკი ბ-ნ გზათა მინისტრს, რომელსაც სექტემბრის პირველ რიცხვებში მოელიან კავკასიაში, წარუდგენს თავისს პროექტს რამდენისამე ახალის გზის გაყვანის შესახებ. ამ გზების გასაყვანად ბ-ნი სტატკოვსკი თხოულობს ოთხ-მილიონ მანეთს.

*** ოთხშაბათს ქალაქის გამგეობაში სხდომა ჰქონდა საბჭოს მიერ ცხენის რკინის გზის მეთვალყურედ ამორჩეულს კომისიას. კომისიამ დაადგინა სთხოვოს ქალაქის გამგეობას შეატყობინეთ უსახელო საზოგადოებასა და ბ-ნს ყორღანოვს ჩვენის ამორჩევის ამბავი. ამას გარდა, კომისიამ მიანდო ბ-ნს პასკევიჩს ინსტრუქციის შედგენა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აწარმოვოს თავისი საქმე ამ კომისიის ყოველმა წევრმა, რათა მოსპონ აწინდელი ამ გზის უწესოებანი.

*** საზაფხულო თეატრის ახლოს მტკვარში ყოველ დღე მრავალნი ბანაობენ და დღე არ გადის, რომ ერთი მათგანი არ დაირჩოს. გუშინ კიდევ იპოვნეს მდინარეში ვიღაც კაცის გვამი, რომელიც ამას წინად აქ ბანაობდა და დაირჩო. მიზეზი ყოველ დღის უბედურებისა ტივებია, რომლის ქვეშაც ითრევს ხოლმე წყალი მობანავეთ და აქ წყალი არჩობს. ნუ თუ პოლიცია ვერ მოაშორებს აქედგან ამ ტივებს, უბედურების ასაცდენად?!.

*** სამშაბათს საღამოზე სამუსიკო კრუჟოკში ქურდები შეიძვრნენ სცენაზედ იმ დროს, როცა ბაღში მუსიკა უკრავდა და მრავალნი წევრნი ვახშმად ისხდნენ. ქურდებს სცენაზე არტისტების ოთახების კლიტეები გაეტეხნათ და რაც მოეხელებინათ, წაეღოთ. ერთი ქურდთაგანი იქვე ბაღში შეიპყრეს და მეორე-კი გაექცათ: ქურდს ოქმი შეუდგინეს და სასამართლოს გამომძიებელს გადასცეს.

*** ტფილისის ახალ თეატრის შენობას მეტად ნელ-ნელა აკეთებენ, მაგრამ შეყენებული-კი არ არის. ამ ჟამად თეატრი ამ მდგომარეობაშია; ლოჟები, პარტერი, სკამები სამსავე სართულში შავად შეკეთებულია, აგრეთვე ქანდარა; ლოჟებს კარებები უკვე შებმული აქვს. ფოიე, როგორც კაცებისა, ისე ქალებისთვის, მზათ არის, მხოლოდ იატაკს შეღებვა-ღა აკლია, რამდენიმე შესავალ-გასავალი ასფალტით არის დაგებული. სცენის შენობა ჯერ არ დაუწყიათ, მხოლოდ სცენის დასაყრდობი ბოძებია ამოყვანილი, ტანთ ჩასაცმელი ოთახები მსახიობთათვის ორივ სართულში თითქმის მზად არის. ქვეითა სართულის ოთახები მსახიობთათვის არის დანიშნული, ზევითა—ხოროსთვის და სხვ. სცენის თალი მარსელის ფუყე აგურით არის აშენებული, რომ ზევით სართულში რეზონანსი კარგი იყოს. სადურგლო საქმეს სადეკარაციო ოთახში აკეთებენ. სადეკარაციო დიდი, ფართო და ნათელი დარბაზია, სულ ზემო სართულში მოთავსებული და ფანჯრები გოლოვინის პროსპექტის მხარეს აქვს.

მოსალოდნელია, რომ ორს წელიწადზედ ადრე არ დამთავრდება ტფილისის თეატრი, რადგან, დიდ სამუშაოთა გარდა, ძალიან მრავალი წვრილმანი საქმეც არის გაუკეთებელი, მაგალითებრ ჩამოსხმული არა აქვს ჯერ თუჯის სახიანი მოაჯირები, სხვა და სხვა ფერი მინა არ ჩაუსვამთ ნარიმანდოში და სხვ.

(ნოვ. ობოზ.)

*** ამას წინად სარეში (საფრანგეთში) დაუპატიმრებიათ თავადი ვიქტორ ნაკაშიძე, რომელიც 1890 წ. დასჯილ იქმნა პარიჟში, რადგან ასაფეთქებელი ყუმბარები ეკეთებინა ვიღაც ორლოვთან, ლავრენიუსთან და სხვ. ერთად. ვადა რომ შეასრულა საპატიმროში ყოფნისა, ნაკაშიძე წავიდა ლონდონში, მერე ისპანიაში და იქიდგან ნიცაში. ისპანიაში შეირთო ქ-ნი ფონ-რედოლი და ამის შემდეგ ხან სად იყო ხოლმე და ხან სად თავის ცოლის ოჯახობით, რომელიც შეადგენდა იმის ცოლის დედმამას და დას. საფრანგეთში იმისთვის, დააპატიმრეს რომ დაარღვია განაჩენი თავისის საფრანგეთიდგან განდევნის შესახებ. სასამართლომ თ. ნაკაშიძეს 3 თვით და 1 ჴდღით დაპატიმრება გადუწყვიტა. (Т. Л.)

*** დიდიკაური (მორაპნის მაზ.): აქ სცხოვრობს ერთი ხანში შესული აზნაურშვილი ა. ქ., რომელიც ფულს მამასისხლად ასესხებს და ამით ისცხოვრობს. ეს ადამიანი მოგაგონებს გოგოლი პლიუშკინს, რომელიც ქუჩებში ძველს ლანჩებს აგროვებდა და ჯიბეში იწყობდა. ექნება 100,000 მანეთის შეძლება მამულად და ფულად და აღდგომა დღეს ლობიოსა სჭამს, 1852 წელში შეკერილი რუსული სამხედრო პალტო დღესაც არ გამოუცვლია და ზამთარ-ზაფხულს იმას ატარებს; ყველას იმას შეჩივის,—არა მაბადია-რა, რომ ტანისამოსი მაინც გამოვიცვალოო. სარგებელს ცოტას იღებს: მანეთზედ სამს მანეთს და ათს შაურს, მეტს, არა... საცა საჯარო ვაჭრობით ქვრივ-ოხერს მამულს გაუყიდის, მისს მცველად და მომვლელად აყენებს ხოლმე ერთს თავზე ხელ აღებულს, ყოველსავე ზნეობრივ სიფაქიზეს მოკლებულს აზნაურიშვილს ვ. შ., რომელიც ყოველივეს მოურიდებლად ამისდამი ჩაბარებულის, არმად შეძენილის მამულის სამზღვრებს თავის გემოზედ ჰმიჯნავს და აფართოებს. ერთის სიტყვით, ამ ორმა ადამიანმა მთელი სოფელი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო.

*** ლანჩხუთი (ოზურგეთის მაზ.): ადგილობრივ სცენის მოყვარეთა, 31 ივლისს, ბ-ნის მგელაძის თაოსნობით, ლანჩხუთის წიგნთ-საცავის და ერთის საზღვარ-გარეთ მოსწავლე

## ფელეტონი

### ია-ვარდის საუბარი

ვარდი

შენ ია ხარ და მე—ვარდი,
შენ მორცხვი ხარ, მე-კი—არა,
ყვავილთ მეფედ ზენა არსმა
ქვეყნად დამრგო, დამამყარა!..
მიწყალობა სილამაზე,
სამოთხისა სუნნელება;
ტრფობა, ეშხი კოკობ მკერდზედ
მაკვდება და თავს მევლება;
მთვარე „ნანას" მეუბნება,
გულს მიფხიზლებს დილის ცვარი,
პირ-საწმენდად მევლინება
მზე დიადი, გასახარი;
მცველად მადგას თვალი ღვთისა,
გამდლად—სოფლის სიყვარული,
მადიდებლად—მგოსნის ჩანგი
და აშიყად—თვით ბულბული...
მეც ვამაყობ!.. თავი მაღლა
ამიმართავს დიდებულად,
ქვეყანა მთვლის თავის თვალად,
გვირგვინად და სიხარულად!..
შენ რაღა ხარ, ნაზო იავ,
ობოლო და მალ-მიხდილო,
უბუჩქ-ეკლოდ ამოსულო,
სევდიანო, დაღვრემილო?!.

ია

შენ ვარდი ხარ და მე—ია,
შენ თამამი, მე-კი—არა,
საკაეშნო ოცნებისთვის
ზენა არსმა დამამყარა!..
მიწყალობა უხვად გრძნობა
და საამო სუნნელება,
სანატრელი თანაგრძნობა
მეც შენსავით თავს მევლება;
მზე და მთვარე, დილის ცვარი
მეც მმეხიან მთა და ბარად,
მათ ჩემთანაც კავშირი აქვთ
სანატრელის ტრფობის მარად;
ღვთის მადლი და მგოსნის ჩანგი,
ხალხთ სალამი, სიყვარული
მეც მდარაჯობს და ჩემს ცრემლებს
ერთვის მათი სინანული...
მაგრამ ვსდუმვარ... თავი დაბლა
დამიხრია დაჩაგრულად,
ქვეყნის ავი ცრემლად მადნობს
და სიკვდე—სახარულად!..
სცან, ესა ვარ, ეკლიანო,
ბულბულისა გულის მწველო,
მეტის ქებით თავ-გასულო,
უხამ-ნაღველის უნახველო!..

ვარდი

გაზაფხულის მახარობლად
სხვა ბუჩქთან რომ ამოჰყოფ თავს,
დაღვრემილი სდგეხარ ობლად
დაჰკვნეს მიწას მძლსა და შავს,
თავს არ იღებ, ბადრსა მთვარეს,
მზეს ბრწყინვალეს საამოსა
და ვარსკვლავთა არ შეჰხარი
სტირი დილა საღამოსა—
რასა სტირი? რა დაჰკარგე?
ვინ დაჰმარხე? სატრფო გულის?
თუ დაგეხშო იქ სათავე
შენის შვება-სიხარულის?
შემომხედე: თვალს ვუშტერებ
მალ-მოსილსა იმა ზენას,
რომლის მადლაც ყოველს ჰმართავს
და გვილინებს ჭირს და ლხენას.
გულს მივსებენ სანუგეშოდ
განთიადი და ცისკარი,
სიცოცხლე და სიტკბოება
ჩასახული მათში არი!..
ცრემლს და ვაის არ ვეწყობი,
არ მრწამს ოხვრით გულის მგერა...
სიხარული!.. თორემ ვნესამ
ბევრი ადრე დაბერა!..
მაშ ილხინე, თუ არა-და,
აღარ გაჩნდე მთა და ბარად;
მე დავრჩები მარტო ქვეყნის
საამოდ და გასახარად!..

ია

მიწის შვილი, მიწის მკერდით,
შენახული, გამოზრდილი
მას დავყურებ, მას დავსტირი
ჭირისუფლად თავ-დახრილი.
არ შევყურებ მზეს დიდებულს,
არც გაბადრულს კაშკაშ მთვარეს,
რადგანაც რომ დავიწყებულს
„ნანას" ვუმღერ ძველს სამარეს;
იმ სამარეს, სადაც ძალას
ამ ქვეყნისას, მოსვენებულს,
დრომდის სძინავს, თავს იმალავს,
ნუგეშით ჰკვებს მადლიანს გულს;
იმ სამარეს, რომელიც მტერს
ემუქრება, არ აძინებს
და დაჩაგრულს, დიდებულს ერს
სულის ძალას უღორძინებს!..
სანამ იგი საადგომოს
არ შეჰღებავს წითელს კვერცხებს,
თავის მტარვალს, იმ სულის მტერს,
არ ჩაჰკლავს, არ ჩაამხებს
იმა დრომდის ჩემი მღერა
ცრემლით სავსე მოთქმა არი,
არ არსებობს ჩემთვის მთვარე,
არცა მზე და არც ცისკარი!..
უმეგობროდ, ჩემო კარგო,
ვერავინ ვერ გაიხარებს;
მოვა დრო და უხამ-ნაღველი
ყველას დასწვავს, გაამწარებს,
დაავიწყებს ლხინს და მღერას,
შეამულებს მზეს და მთვარეს
და ჩემსავით სავალალოდ
დაუსახავს ცივს სამარეს...
ამისათვის მოდი, დაო,
თუ გულს გითბობს სამართალი,
ლხინით ერთად მოვილხინოთ,
ერთად მოვსთქვათ სატირალი,
ერთად ვიყოთ ქვეყნისათვის
მშვენება და ნატვრის თვალი,
ღმერთსაც ერთად შევავედროთ
გაზაფხული მომავალი!..

ია-ვარდი

ხელი მივცეთ ერთმანერთს,
აწ რას დაგვაკლებს მტერი!..
ბევრჯელ ვაგლახად ჩვენს თავზედ
ბედ-იღბალს დაუმღერია:
ბევრჯელ სულის მტერს ჩვენს შორის
შუღლი დაუთესია,
მაგრამ ისევ-კი ერთნი ვართ,
ერთი გვაქვს სჯული, წესია!..
და ვეყავოდეთ ცალკ-ცალკე
ვერ შეგვაშინებს ეს ჩვენა,—
ერთი ბაღჩა გვაქვს სამშობლოდ,
ერთ გვარი ჭირი და ლხენა:
ორნივე ერთსა შევხარით,
ორნივე ერთ-გვარ ბედკრული,
ერთ გვარს მომავალს მოველით,
ერთი გვაქვს აწმყო, წარსული...
აბა აწ ყურა დაუგდეთ
ჩვენს წუნარსა „იავ-ნანასა"!..
ჩვენი ცხოვრება, ნაკურთხი,
ჰგავს ციურს გამოცანასა!..

ახალგაზდის სასარგებლოდ, წარმოადგინეს ვ. გუნიას 5 მოქმედ. დრამა „და-ძმა“. ამ წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და კმაყოფილი დაბრუნდა სახლისაკენ. მოთამაშეთ მეუყაითობა და გულ მოდგინება ეტყობოდათ, მაგრამ ამასთან მრავალი ნაკლიც.

*** ბაჯი (რაჭა): ჩვენს სოფელს პროგრესი მარტო ქურდობაში ეტყობა. დაიწყო ქურდობა იმითი, რომ პირველად ბატი, ინდაური, ქათამი და იხვი იკარგებოდა; გავიდა ცოტა ხანი—და გოჭები, ბატკნები მიჰყვნენ დაკარგულ ქათმებს; პროგრესის მესამე ხანამ ძროხა-ცხენები იმსხვერპლა და უკანასკნელად ამ პროგრესმა მიწაშიაც გაიკვლია გზა და ორმოც კოკიან ქვევრებს მიადგა!.. სოფელი საშინელს გაჭირვებაშია!.. არ იქნება ურიგო, რომ სასტიკს ყურადღებას მიაქცევდეს, ვისიც ჯერ არს, ამ საჭირ-ბოროტო ჩვენს პროგრესს და მისს წარმომადგენელებს ღირსეულად დააჯილდოვებდეს.

*** ხიდისთავი: აქ წრეულს ძალიან კარგი მოსავალია პურისა; ასეთს მოსავალს ბევრი არ მოსწრებია ჩვენში. ვენახებს ხომ გასაოცრად ასხია; საშუალო რიცხვით რომ ვსთქვათ, თითო ვაზს 15—18 მტევანი აბია. მაგრამ ყოველივე ამ სიკეთესთან ერთი უბედურება არის: აქაურნი მკვიდრნი ეს არის სულით ხორცამდე გაატყავა მკითხავმა ფეფემ და არავინ გამოჩნდა ერთი ისეთი ღვთისნიერი ადამიანი, რომ რაიმე შეაგონონ ამ საწყალს ხალხს და ხელი აალებინონ იმ ცრუ დედაკაცისაგან.

*** იანეთი (ქუთაისის მაზრა). აქ წელს პური ძალიან ბლომად მოვიდა; სიმინდებს ამინდი კარგი უდგია და დიდს მოსავალს ელიან. გამოცდილი კაცები გვარწმუნებენ, რომ ხუთის წლის სარჩო მოვაო.. არ იქნება ურიგო, რომ თუ ღმერთი ასეთს წყალობს მოგვივლენს, აქაურ მკვიდრთა წაჰბაძონ ქართლ-კახელებს და თითოეულმა ორიოდე ჩანახი გაიმეტოს და ეს პური ერთად შეაგროვონ, რომ მოუსვლობის დროს სხვაგან სირბილი და ძებნა არ დასჭირდეთ.

*** იქიდამვე. ჩვენს სოფელს ერთკლასსიანი სკოლის მეტი სრულიად არა აქვს და იქაც სამი, თუ ოთხი ბავშვი სწავლობს. სიამოვნებით მოელიან ამ მოკლე დროში აღთქმულის სამრევლო სკოლის დაარსებას. იმაზე, რომ იანეთი შეუერთდეს ჯიხაიშს და მომავალ ოთხ-კლასიან სახელოსნო სასწავლებლის დაარსებას საერთო ღონით შეუდგეს, იანეთმა უარი განაცხადა.

*** იქიდამვე. მამასახლისები ერთი-მეორეზედ იცვლებიან, მაგრამ ყოველის ახალის მამასახლისის მოქმედების დროს გვაგონდება შემდეგი სიტყვები; „უარ და უარ სოფელო ბარათაშვილო ბეჩავო“... ყოველს გაჭირვებაზე, რომლის აცდენას მოველით ახალის მამასახლისისგან, თან და თან მწვავდება და-კი არა ჰკლებულობს.

*** „ჟენევა“. წელს ჟენევის უნივერსიტეტი ჩინებულად დაამთავრა გიორგი ოქრომჭედლიშვილმა და ქიმიკოსის დიპლომი მიიღო.

*** როგორც გაზ. «კავკაზს» გაუგონია, თ. ლ. ა. მაღალაშვილს, სახლის დაწვის დროს, დასწვია 200,000 მანეთად ღირებული ნივთეულება და ავეჯეულება, გარდა იმისა, რომ თვით სახლი 40,000 მანეთად ღირებულა. დამწვარ ნივთთა შორის მოჰყვა თურმე მრავალი ძველებური იარაღი, ძველი ნივთები, სევრელი ფაიფური და სხვა ძვირფასი ძველი ნაშთები.

*** იგივე გაზეთი გვაუწყებს, რომ სოფ. მუხათის (ტფილისის მაზრა) მცხოვრებთ მიურთმევიათ მაზრის უფროსისათვის თხოვნა, რომ აღეკრძალოს ჩვენში მევახშეობა ტფილისის მცხოვრებს პეტრე ოჰანეზოვსაო. ეს თხოვნა მაზრის უფროსს გამოსაძიებლად პოლიციის ბოქაულისათვის გარდაუცია; ამ უკანასკნელს ყოვლივე ცნობა შეუკრებია და ადგილობრივ გამომძიებლისათვის გარდაუცია. გამომძიებელს ოჰანეზოვისაგან 1000 მანეთი სათავდებო თანხა მოუთხოვია, თორემ დაგაპატიმრებთო.

*** როგორც „Т Л.“-ს გაუგონია ქუთაისის ოლქის სასამართლოს გამომძიებელი ბ-ნი კორეენევსკი დანიშნულ იქმნება ტფილისის ოლქის სასამართლოში საგანგებო საქმეთა გამომძიებლად.

*** 3 აგვისტოს სასტუმროს „სევერნი ნომერებში“ რევოლვერი დაიცა და თავი მოიკლა კაპიტანმა სერგეი აპოლიანარის ძემ ზორინმა. თავის მოკვლის მიზეზი ავადმყოფობა ყოფილა.

## დამაკვირდი

გაჭირვება ჩვენი მეექვსე გრძნობაა, რომელიც ხშირად ხუთსავე გრძნობას ჩაახშობს ხოლმე.

სატირ. ლექსიკ.

**

უსიხარულოა შრომა ძუნწისა, უნიადაგოა სიხარული მფლანგავისა.

ჰემბელი

**

როდესაც ბულბული შესწყვეტს გალობა-სტვენას, ჭრიჭინები დაიწყებენ ხოლმე ჭრიჭინს.

ქ-ნი მარიამ ებნერ-ეშენბახი

## კორესპონდენცია

**სოფ. ქარელი** (ქართლი), 2 აგვისტო. ამ თვის პირველს მეაფთიაქემ ს. გ. წერეთელმა თავისი აფთიაქი სოფ. მეჯვრის-ხევიდგან ქარელში გადმოიტანა. ამ ამბავმა მთელი ქარელის საზოგადოება გაგვახარა, მით უმეტეს, რომ დღემდის ავად რომ გაგვხდომოდა ვინმე, ჯერ ექიმისთვის უნდა გვერბინა გორში ან სურამში და შემდეგ წამლებისთვის. აფთიაქის გამართვის გამო, დღეიდგან წამლებისათვის რბენას 20—30 ვერსის მანძილზედ ავშორდით; ახლა სანატრელად ის-ღა დაგვრჩენია, რომ ერთი ექიმი ანუ ფერშალი მოვიწვიოთ ჯამაგირით. ნათქვამია: „თუ გული გულობს, ქადა ორის ხელით იჭმევაო!“ თუ მოვინდომეთ, ღვთის წყალობა მოგვეცა, რომ დიდი გასაჭირი არ არის ამისთანა საზოგადოებისთვის, როგორიც „ქარელია“. ერთის ექიმის ანუ ფერშალის ჯამაგირის გამოღება, მით უმეტეს, რომ ქარელს 2—10 ვერსის მანძილზედ იმდენი სოფელი ახვევია, რომ 1800 კომლს აღემატება, ამ რიცხვში 100 კომლზედ მეტი თავად-აზნაურობა ურევია. სხვა არა იყოს-რა, მარტო თავად-აზნაურობასაც შეუძლიან ერთის ფერშლის ჯამაგირის გამოღება. თუ აქამდის ამ სანატრულს საქმეს გულ-ცივად მოვკიდებივართ, უმეტესად იმიტომ, რომ ფერშალიც რომ გვყოლოდა, აფთიაქის უქონლობის გამო დიდ სარგებლობას ვერ მოგვიტანდა; ახლა-კი სულითა და გულით უნდი მოვისუროთ ამ კეთილს საქმის დაგვირგვინება, თორემ უექიმოდ აფთიაქის წარმოებაც ძნელია. მაგალითად, როგორც სოფ. მეჯვრის-ხევში უექიმოდ აფთიაქმა ვერ იხეირა, აგრეთვე შეიძლება, თუ ქარელელებიც არ ვეცადნეთ, ჩვენც მეჯვრის-ხეველების დღე დაგვადგეს.

ციციაანთ მთაში ტყეს ცეცხლი უკიდია და ისე ძალიან მოედო, რომ მოწვეულია «ლესნიჩი» თავის თანაშემწეთი და პოლიცია გასაქრობად.

ქარელელი

### საფილოქსერო დასთა მოქმედება

ჩვენს გუშინ-წინდელს გაზეთში დავბეჭდეთ ანგარიში სიღნაღ-ალაზნისა, თელავ-თიანეთისა და დუშეთ-გორის საფილოქსერო დასთა. აი ქუთაისის საფილოქსერო დასს რაღა გაუკეთებია:

1) დაუმთავრებია მუშაობა წიფას და გოლოთუბანში; აგრეთვე გაუსინჯავს ვენახები ფონასა, გუდათუბანსა და ზოგიერთიც (შორაპნის მაზრის) სოფ. ზვარში.

2) გოგირდის ნახშირ-მჟავით უწამლია იმავე მაზრაში ვენახებისათვის, სახელდობრ: ობჩასა, საქარასა და სვირში.

3) შორაპნის მაზრის ნიადაგის გამოკვლევა დაუსრულებია.

4) შაქრის გასაშენებელ ადგილის ლაბორატორიაში ქიმიურად გაუსინჯავთ ხსენებულისავე მაზრის განსაკუთრებულ სახის ნივთთაგანნი.

5) იქავე მეტეოროლოგიური თვალყურობა ჰქონია, მოუვლიად ვაზისათვის და კოლლექციები უგროვებიათ.

რაჭა-ლეჩხუმის საფილოქსერო დასმა დაათვალიერა თურმე 728 ვენახი, რომელთა სივრცე შეადგენდა 703 დესეტინას (ეს ვენახები იმყოფება 14 სოფელში) და გაუსინჯავს 22,910 ვაზის ძირი. ამავე საფილოქსერო დასის მეთაურს სხვა დასის დახმარებით შავის ზღვას პირად დაუთვალიერებია შემდეგი ვენახები და მცენარე ხეხილთა საკუთრივ გაშენებული ბაღები: 1) ფოთში—ბაღი, რომელიც ქ-ნს სმატს ეკუთვნის და აგრეთვე ქალაქის საზოგადო და ლაზარე თურქაას ბაღები; 2) სოხუმში დაუსრულებიათ დათვალიერება ვენახებისა და ბაღების 10 სხვა-და-სხვა მამულისა და მათს შორის „სინოპი“-ს იმ ბაღისა, რომელიც დიდს მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძეს ეკუთვნის; 3) ახალ ათონში—დაათვალიერეს ვენახი და ხეხილის ბაღი; 4) ნოვოროსიაში—ბაღი პენჩულასი და საუფლისწულო მამული „აბრაუ“. 5) ტუაპსის ახლო-მახლო დაათვალიერეს სხვა-და-სხვა მემამულეთა ბაღები. არსად აქ ფილოქსერა არ აღმოჩენილა. აწ ეს დასი ლეჩხუმის მამულების დათვალიერებას შეუდგება. ამ მაზრაში, ბიჭია ოქრომშიძის ვენახში აღმოჩენილა ფილოქსერა, ერთს ვენახში 25 ვაზი ყოფილა ფილოქსერიანი და სამს დანარჩენში თითო ვაზი. დაზიანებულს ვაზებს ნავთი გარდაასხეს. რაჭის მაზრაში ხშირი წვიმები იყო, რის გამოც ვაზს გაუჩნდა სოკოს სნეულებანი და ამან ხელი შეუშალა დასს სოფ. დერჩაში დაეწყო დასნეულებულ ვენახების წამლობა. („კავკაზი“)

## რუსეთი

ფინანსთა სამინისტროს გადაუწყვეტია საშუალება მიიღოს ღვინის ვაჭრობისა და მეღვინეობის განსაუკეთესებლად. სამინისტროს მოხელეთ, რომელნიც გაგზავნილნი იყვნენ სამხრეთის მხარეს და სხვა ქალაქებში

---

გაზაფხულ-ზაფხულს ჩვენ ვალხენთ
ბაღნარში, მთა და ველადა,
მოვა მოხუცი ზამთარი
გვქენჯნის და გვადნობს ცრემლადა;
მაგრამ როგორც-კი თოვლ-ყინვა
შემოადნება მდელოსა,
გავსიზმრებთ მგოსნებს,—სიმღერას
ამბობენ სასახლოსა,
გულ-მკერდსა ათას ნაირად
გვუამზავთ საქართველოსა,
მტერი, მოყვარე, გამვლელი
სვამს იმის სადღეგრძელოსა!..
ესა ვართ, ესვე ვიქნებით,
ვერას დაგვაკლებს მტერია,
ჩვენი დიდება უკვდავი
გამჩენს ღმერთს დაუწერია!..

გრ. აბაშიძე

## ჟან ბენუა

(პოლ გეიზესი)

ჟან ბენუა მწყემსია ბერდარიეს მახლობლად მდებარე პატარა ს. ბუსაგში. მის ფარას შეადგენს ოც-დაშვიდი ცხვარი და სამი თხა; თხები და ექვსი ცხვარი ქვრივ დიურაკის საკუთრებაა; ათი ცხვარი—მეურმსიმონასი; ოთხი მეწისქვილე თომაესი, დანარჩენი შვიდი—არყით მოვაჭრე ბუტისა.

ჟან ბენუა იანვარში ორმოც-დახუთის წლისა შესრულდება. თუმცა შეხედულობით სამოც-და-ათის წლისასა ჰგავს.

ყოველ დილას, გარიჟრაჟდება თუ არა და სუსტი სინათლე შეატანს ბუსაგოს ვიწრო ორღობეებში, შეჰხვდებით ჟან ბენუას, რომელიც ჩომბახ მხარზედ გადებული წინ უძღვის თავის ჯარსა. გვერდით მიუხტიან თხები, ექლასუნებიან მუხლებზედ, უკან ცხვრები მისდევენ; ხანდახან უცბად შესდგებიან, კისრებს წაიგრძელებენ და უგუნურად დაიწყებენ ყურებას. ჟანი დაკლაკნილ ბილიკით ადის ერთს მახლობელ გორაკზედ; დრო გამოშვებით მოუტრიალდება ცხვრებს და შეუსტვენს; «ჩიე, ჩიე, შე საოხრეო!», ან და კიდევ დასწვდება ქვას და ესვრის ჩამორჩენილს ცხვარს. მარჯვენა ფეხი მარცხენაზედ მოკლე აქვს, ამისათვის ყოველ ფეხის გადადგმაზედ მისი ტანი შესამჩნევლად იხრება ერთის მხრისაკენ. თითონ-კი ტან-მაღალია, გამხდარი, ძვალ-ტყავა, ლოყებ ჩაცვივნულია; შუბლი და საფეთქლები ღრმად დასერილი აქვს; თვალები სიცოცხლის უკანასკნელი ნაპერწკალით ძლივს-ღა უელავს; ამას დაუმატეთ საშინლად დიდი პირი, სქელი, ძარღვიანი კისერი და ადვილად წარმოიდგენთ ჟანის გარეგანს შეხედულობას. ზემოდგან დაგლეჯილი ჩოხა აცვია. მიდის სულ მაღლა და მაღლა ყუნცულ-ყუნცულით. დაგლეჯილ ქუდიდგან აქა-იქ ამოსჩურთვია გაწეწილი და ღორის ჯაგარსავით გაფშეკილი ჭაღარა თმა. შარვლის მაგივრობას უწევს ათას ფერი ნაკუწების კონკი. პერანგთან სულ მწყრალად არის.

რაკი მაღლა, გორაკის წვერზედ ავა, შეჩერდება და დაიწყებს უაზროდ აქეთ-იქით თვალების ცეცებას. ფარა-კი გაიფანტება და მოჰყვება გულიანად ბალახის წიწკვნას.

აი გიორგობისთვის მზემაც ამოჰყო თავი და სუსტი სხივები შესტყორცნა მთებს, ღელეებს, მინდვრებს. ჟან ბენუა ვერც-კი ამჩნევს მზის სხივების თამაშს. ამისთვის სრულიად არა სცალიან; მას არა ესმის-რა ბუნების სიმშვენიერისა. როდესაც იმისი ცხვრები ნელ-ნელა სძოვენ ბალახს, ის მაშინ ოცნებობს სადილის შესახებ; იხსნის გუდას და ჰყოფს შიგ ხელს. გუდაში ულაგია შემწვარი წაბლები და ჰუჰყიანის ჩარექით მაჭარი: დრო გამოშვებით ისმის „ჩიე, ჩიე, შე სატიალოო“ და სრიალით მიდის ცხვრისკენ წამოსმული ქვა.

მზემაც კარგად წამოიმაღლაურა. მწყემსი ჯდება ქვაზედ და შეექცევა სადილს. შესჭამს რამდენსამე წაბლს, დალევს ნახევარ ჩარექა მაჭარსა და დანარჩენს შეინახავს. სალამოთი ვახშმად იგივე წაბლი და მაჭარი ექმნება. საუზმის შემდეგ ჟან ბენუა მიერეკება ცხვრებს ვენახებისკენ. იმისი ყოველთვის კმაყოფილი საქონელი აქაც ჰპოულობს თავისთვის საკმაო სახსნავს: ვაზებზედ შერჩენილს გაყვითლებულს ფოთლებსა და გამხმარ ბალახს; ბენუა-კი სდგას, თუ ჰზის, უსიცოცხლოდ აბლატუნებს თვალებსა. მხოლოდ ხანდახან გამოიფხიზლებს, რომ ცხვრებს „ჩიე, ჩიე“ შეუძახოს და მოსაბრუნებლად ქვა წამოუსროს. თუ შეჰხვდა რომელსამე გლეხს, ბევრის ლაპარაკით როდი შეაწუხებს: „გამარჯობა და გაგიმარჯოს“ არის იმისი დიდი ბაასი.

ასე მიდის მთელი დღე. ბენუას არაფერი არ აფხიზლებს, სჯა არცკი შეუძლიან.

მზე მთებს ამოეფარა. მწყემსი ცხვრებს ერთად უყრის თავს და მიერეკება სოფლისკენ. ჯერ შეივლის არყის ვაჭრისაკენ, შემდეგ მეწისქვილისკენ, მერე მეურმისკენ და სულ ბოლოს ქვრივ დიურაკისკენ, რომელთანაც ბინადრობს. გომში, სადაც ცხვრები და თხები იმყოფებიან, ერთი ძველი, დამტვრეული ტახტი სდგას, რომელზედაც გაფენილია ერთი ბლუჯა ჩალა—ეს ბენუას საწოლია. ცხვრების დაბინავების შემდეგ ბენუა შედის ქოხში და კერის წინ ჯდება სამ ფეხა სკამზედ. საკიდელზედ ჩამოკიდებულ ქვაბში იხარშება ვახშამი. ბენუას აძლევენ ხის თეფშით მოხარშულს წაბლსა. თეფშს მუხლებზედ იდგამს და ნელ-ნელა შეექცევა. ერთი ან ორი საათი ზის გაჩუმებული კერას წინ, სანამ ცეცხლი არ განელდება. შემდეგ ეტყვის ქვრივს „ღამე მშვიდობისაო“ და მიეშურება თავისის საწოლისაკენ.

ხვალაც, ხვალ ზევითაც, შემდეგაც უცვლელად განმეორდება დღევანდელი დღე.

აი, ოცდა-თვრამეტი წელი შესრულდება, რაც ბენუა ამ ცხოვრებაშია. შვიდის წლისა ჯერ არ იყო, როცა იგი მეცხვარედ დააყენეს. დედ-მამა

ამ საქმის შესასწავლად, საჭიროდ დაინახეს თურმე, დააწესონ განსაკუთრებული ზედამხედველობა, ღვინის ვაჭრობასა და მეღვინეობაზედ. ამ საგნის შესამუშავებლად დაარსებულ იქმნება, სტფინანსო მინისტრის ბ-ნ ვიტტეს თავმჯდომარეობით, განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სამინისტროთა წარმომადგენელნი, პროფესორები და აგრეთვე მოწვეულნი იქმნებიან ღვინის ვაჭრობის და მეღვინეობის ამხანაგობათა რწმუნებულნი. ეს კომისია შეიმუშავებს საშუალებათ, ღვინის გარდა, სხვა სასმელების ვაჭრობისა და კეთების საქმის განსაუკეთესებლადაც, მაგ., ლუდისა, თაფლის სასმელისა, ლიმონადისა, კვასისა და სხვ. ამ სასმელების კეთებისა, წარმოებისა და ვაჭრობის ყურისაგდებლად აპირებენ დააარსონ სახელმწიფო ზედამხედველობა. რადგან ამ ზედამხედავთა ჯამაგირისთვის საჭირო იქმნება საშუალება, ამისთვის განზრახვა აქვთ ცოტაოდენი, მხოლოდ ამისათვის სამყოფი, სააქციზო გარდასახადი დაადონ სასმელებს. იმის გადასაწყვეტად, რაოდენი გარდასახადი უნდა დაედოს, სასმელეულობა განაწილებული იქნება იმის კვალობაზედ, თუ რომელში რაოდენი ალკოჰოლი ურევია. ეს გარდასახადი დაედება ღვინოს მაშინ, როდესაც იმის გამოტანას დაიწყებენ ღვინის მომყვან ადგილებიდგან.

—

წრეულს ჯარის გასაწვრთნელად გაყვანა დაიწყება ერთის თვით ადრე ჩვეულებრივზედ, ესე იგი 13 აგვისტოს; გასაწვრთნელად გაყვანილნი იქმნებიან სათადარიგო ჯარის-კაცნი ქვეითა ჯარისა, ქვეითა და მეცხოვნე არტილერიისა, სამსახურით 1889 და 1884 წლის ვადისანი. ამ გასაწვრთნელ ჯარის-კაცთა გაწვრთნის ვადა ასეა დანაწილებული: 30 დღე ქვეითა რაზმის ჯარის-კაცთათვის, რომელნიც 1884 წ. იყვნენ გაწვეულნი, და 21 დღე 1889 წ. გაწვეულ ჯარის-კაცთა და აგრეთვე 1884 და 1889 წ. მეცხოვნე და ქვეითა არტილერიის ჯარის-კაცთათვის.

—

საზრანის მაზრის სოფ. შირიაევკაში ერთი უცნაური მწვალებლობა გავრცელებულა. ერთმა იქაურ ტყის მცველთაგანმა შენიშნა თურმე ტყეში ხელდახელ აგებული ქოხი, საიდგანაც ადამიანთა კვნესა ესმოდა. „ქოხში რომ შევიდა, თვალწინ წარმოუდგა სამი თითქმის ტიტველი ქალი... სამივე ქალი საშინლად გამხდრები იყვნენ უჭმელობისა გამო, ერთს იმათგანს ყურებში, თვალებქვეშ და სხვა ადგილებში იარები ჰქონდა და მატლიც-კი გასჩენოდა. ისე დასუსტებულიყო, რომ ფეხის გადადგმა აღარ შეეძლო. შირიაევკაში წაიყვანეს და იქ სამ საათს შემდეგ გარდაიცვალა“. ტყე დაათვალიერეს და სამი ამისთანავე განდეგილი იპოვნეს. ერთმა ამ სამთაგანმა სთქვა, რომ სულ 30-ნი ვართო, ოც-დაათნივე ქალები, და ყველანი ვიატსკის გუბერნიიდგან ველიკორეცკის სათემოს სხვა-და-სხვა სოფლიდგან. ტყეულევის მთებში იმიტომ მოვედით, რომ ღმერთი ვადიდოთ, იესო ქრისტეს გულისთვის ვიტანჯოთ და შიმშილით დავიხოცნეთ, რის გამოც არას ვჭამდით, ბალახისა და ხილის გარდაო. ეს ქალები სუყველანი გაჰგზავნეს სათემო სახლში, რომ გაეგოთ ვინ იყვნენ და იმათი მწვალებლობა რაში მდგომარეობდა.

## ორიოდე სიტყვა გურიის სახალხო წიგნთ-საცავის შესახებ

კარგი ჰქენი, მარილიც მოაყარე.

ხალხ. ანდაზა

საერთო სიხარული და თანაგრძნობა გამოიწვია პირველად გურიაში სახალხო წიგნთ-საცავის დაარსების აზრმა, ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ეხლანდელს დროში, ჩვენდა სასიხარულოდ, ძვირად შეხვდებით იმისთანა კაცს, რომელსაც ამ ფრიად სასარგებლო და სასიკეთო საქმის მნიშვნელობა არ ესმოდეს. ეს თანაგრძნობა საქმითაც დაამტკიცა ჩვენმა საზოგადოებამ. ყველ ამ შეძლებისადა გვარად ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინა და სულ მცირე ხნის განმავლობაში სრულიად საკმაო ფული შესდგა რიგიანის წიგნთ-საცავის დაარსებისათვის. დაარსდა კიდეც. დიდის მადლობის ღირსნი არიან ისინი, რომელთაც ითავეს, დაიწყეს და დააბოლავეს ეს ჩინებული საქმე, მაგრამ იმათ ხომ იმ აზრით არ უკეთებიათ ეს საქმე, „მადლობა გვითხრანო“! ყოველი კაცი მოვალეა სიკეთე სთესოს იმ ხალხში, რომელმაც ის დაჰბადა და აღზარდა, „სად მამაპაპა ეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი“. „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს-კი არა რა არგოს“. აი ეს სიტყვები უნათებდა გზას პატივცემულ მეთაურებს ამ საქმისას.

როგორც ქვეყანაზედ არ მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელსაც ნაკლულევანება რამ არ ჰქონდეს, არც ადამიანის გაკეთებული საქმე შეიძლება ყოვლად უნაკლულო და სრული, მაგრამ ნაკლულევანებაც არის და ნაკლულევანებაც, თუ ის წვრილმანია, უმნიშვნელოა, მაშინ თქვენი ჭირი წაიღოს. ვინ რას იტყვის, კრინტს ვინ დასძრავს. ხოლო თუ ის ისეთი მომსხოა, რომ საზოგადო საქმეს, საზოგადო დაწესებულებას სრულიად უსარგებლოდ და უმნიშვნელოდ ხდის, მაშინ-კი უნდა ვეცადოთ ყველამ, რომ ეს ნაკლი თავიდან ავიცილოთ და საზოგადო დაწესებულება საზოგადოების სასარგებლოდ გავხადოთ. ამისთვის მე მსურს აქ აღვნიშნო ის, რაც, ჩემის აზრით, დიდს სიმახინჯეს შეადგენს წიგნთ-საცავისას და რაც დაბადებიდგანვე თან დაჰყვა, ჩვენდა სამწუხაროდ:

მიკვირს „გურიის სახალხო წიგნთ-საცავი“ რად უწოდეს? თუ მართალია და ის გურიისა არის, მაშინ აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა, რომ გურიის შუაგულ ადგილას ყოფილიყო დაარსებული და მთელის გურიის საზოგადოებისათვის შეიძლებოდა ამ წიგნთ-საცავით სარგებლობა. ვიმეორებ, ეს ყოვლად საჭირო და აუცილებელი საგანი იყო. ეხლა ვიკითხოთ მოხდა ეს ასე თუ არა? თქვენც არ მომიკვდეთ! აიღეს და წიგნთ-საცავი სოფელ აკეთში გამართეს, იმ სოფელში, რომელიც ყოვლად მოუხერხებელი, მიუვალი და მივარდნილია. გულ ახდილ აღიარონ და სთქვან თვით ამ საქმის მეთაურებმა, ერთხელაც არის უსარგებლია წიგნთ-საცავით საჯავახოელს, ნანეიშვილისეულელს. ერკეთელს, სურებელს, ჯვარცხმელს, ფარცხმელს, ამაღლებისელს, და ბასილეთელს კაცს? ეს სოფლები აღმოსავლეთ-გურიის ნაწილს შეადგენენ. ეხლა დასავლეთ გურიის სოფლები ავიღოთ: დვაბზუ, ლიხაური, მაკვანეთი, გურიანთა, მიქელ-გაბრიელი, ჩოჩხათი, ჩიბათი და სხვები მდებრეობენ აკეთის დასამხარზედ? არც ერთი. მაშ ვისთვის დარჩა აკეთში ეს წიგნთ-საცავი? მხოლოდ თვით სოფ. აკეთისათვის, სადაც 200 თუ 250 კომლი კაცი სცხოვრობს და ამათში წერა-კითხვა მხოლოდ 50 თუ იცის. თუ-კი ასე სურდათ აკეთელებს, თავიანთის ხარჯით უნდა დაეარსებინათ სამკითხველო და „აკეთის წიგნთ-საცავი“ უნდა ეწოდებინათ. ვინ ამბობს, საზოგადოებაც შემწეობას აღმოუჩენდა ამ საქმეს, მაგრამ კი არ უნდა შეგვპირებოდნენ „გურიის სახალხო წიგნთ-საცავს ვაარსებთო“. სხვას რომ ყველაფერს დავეთხოვოთ, აკეთს არც ერთი მხრიდგან რიგიანი მისასვლელი გზა არა აქვს და ზამთარში ცხენზედ რომ შეჯდეთ, მაინც ტალახში დაირჩობით.

რატომ არ იფიქრეს პატივცემულმა მეთაურებმა, რომ რიგიანობა და თავაზიანობა მოითხოვდა დაარსებამდე მოეწოდებინათ ყველა ისინი, რომელთაც თავიანთი წვლილი ჰქონდათ შემოტანილი ამ საქმისათვის, საერთოდ მოელაპარაკნათ, ერჩიათ და ხმის უმეტესობით გარდაეწყვიტად ადგილი წიგნთ-საცავის დასაარსებლად? ნაცვლად ამისა, სამმა თუ ოთხმა კაცმა გადასწყვიტა მისი ბედ-იღბალი, დააარსეს და ერთ მშვენიერ დღეს გამოაცხადეს, რომ „გურიის სახალხო წიგნთ საცავი“ დაარსებულ არს სოფელ აკეთსა შინაო, ვაკურთხეთ კიდეც და მზათ გახლავსო, ვისაც სურს მობძანდეს, იხილოს და ისმინოსო. საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი! გავიდა მას აქეთ ერთი წელიწადი და ბედ-შავს წიგნებს აუარებელი მტვერი დაედო ზედ და გადამწმენდიც არავინ არის თურმე. „არსენას“ და „ქალ-ვაჟიანის“ მეტი წიგნი არავის გააქვს და არც მუშტარი ჰყავს. ეს-კი ნამეტანია ჩემის აზრით. აქაო-და ჩვენ ვითავეთ ეს საქმეო, ჩვენს სოფელში უნდა იყოსო. ოზურგეთის და ჩოხატაურის მახლობლად რა საჭირო იყოო, ოზურგეთშიაც და ჩოხატაურშიაც მოხელეობა სცხოვრობს, ჯამაგირით კაცები და საკუთარის საშუალებით შეუძლიათ წიგნებისა და გაზეთების კითხვაო. ახირებულია, ღმერთმანი! განა ჩვენ-კი იმ აზრით გამოვიღეთ ფულები, რომ „ჩინოვნიკებმა“ იკითხოსო, თუ მთელი გურიის სარგებლობა გვქონდა სახეში? მაშ თუ-კი ასეა განა პაწაწა აკეთის მცხოვრებნი შეადგენენ მთელის გურიის საზოგადოებას“? არა, ბატონო, რომ აქ ეგოისტურ გრძნობას არ ეჩინა თავი, შენ-ჩემობა არ გაბმულიყო და სახეში ჰქონოდათ საერთო და საზოგადო სიკეთე, მაშინ აკეთში-კი არ დააარსებდენ სამკითხველოს, არამედ დ. ნაგომარში, რომელიც სწორედ გურიის შუაგულს შეადგენს, რომელსაც სწვდება ყოველი სოფელი, მაზრის უმთავრესი გზა-ტკეცილი შიგ შუა დაბაში გადის და ყველასთვის ადვილია იქ მისვლა-მოსვლა. თვით აკეთლებიც ყოველ დღე დადიან იქ სხვა-და-სხვა ხორაგის სასყიდლად.

რად დაივიწყეს აგრეთვე ბ-ნმა მეთაურებმა ის ყველგან საერთოდ მიღებული წესი, რომელსაც „ანგარიშის ჩვენება ჰქვია“? რამდენი შესდგა სულ შემოწირული ფული? რამდენი წიგნი იყიდეს? რა და რა თხზულებანი? რა დაიხარჯა, ან რა პირობებით დაარსდა სამკითხველო? არც ერთი ეს არ ვიცით.

ღმერთმა ჰქმნას, რომ ყველა ეს ზემოაღნიშნული ნაკლულევანება თავიდგან აეცდინოს «გურიის სახალხო წიგნთ საცავს» და გახდეს მთელის გურიის სასარგებლო დაწესებულებად. მაშინ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამკითხველო თანდათან გაიზრდება და ჩვენი საზოგადოება სასურველად გა-

---

მალე დაეხოცა და ჟანი დარჩა ობლად, უნათესაოდ, უსახლ-კაროდ, მარტოდ-მარტო. ახლო-მახლო მეზობლებს, იმისთანავე ღატაკებს, შეეცოდათ იგი; მისცეს მეცხვარის ჩომბახი, გაადევნეს ცხვარს და უთხრეს: „აი ჟან, შენ ჩვენი ცხვრები აძოვე, შეინახე და ჩვენ კიდევ სამაგიეროდ შენ შეგინახავთ, გამოგკვებავთო“. აი ამ წუთიდგან ჟანი მეცხვარეა.

იმ ხანებში ჟან-ბენუა მკვირცხლი და მხიარული იყო. იგი დახტოდა თხებთან ერთად, შლიდა ფრინველების ბუდეებს და თან ფარას თვალს არ აშორებდა; ათვალიერებდა კურდღლის ბაჭიებს, მოკამკამე და მჩქეფარე წყლის პირას ფრინველებს ხაფანგს უგებდა. ამას გარდა, იგი სხვანაირადაც ატარებდა დროს: აქ მოერეკებოდნენ ცხვრებს სხვა სოფლებიდგან ბენუას ტოლნი გოგოები, და როდესაც ცხვრები ბალახს ჰხოხნიდნენ, ბოვშვები კიდევ თამაშობდნენ, ხტოდნენ და ჰიდაობდნენ მწვანე ხავერდსავით გადაშლილს მდელოებზედ. უყვარდა ამგვარი ცელქობა: იგი ჰგრძნობდა რაღაც გამოურკვეველს სიამპარტავნეს ახალგაზდობისას და სილონივრისას.

მაგრამ როცა წამოიზარდა, ამ ქალების სიახლოვე ჟანს სისხლს უღელვებდა. უფრო უყვარდა ელიზა ლორენტისთან ჰიდაობა. როცა კი ბენუა ელიზას ხელს ჩაჰკიდებდა, მთელს ძარღვებში რაღაცა სასიამოვნო კანკალი უვლიდა ხოლმე. ელიზა იყო მაღალ-მაღალი თურაშაულ ვაშლსავით მოწითური, ჩასხმული, მამაცის შეხედულობის გოგო, და ვაჟკაცსავით მძლავრი, ხანდახან ჰიდილში ჟანი მარცხდებოდა და ეს არამც თუ სწყინდა, სასიამოვნოდაც რჩებოდა.

მაგრამ ელიზა ჩვიდმეტის წლისა შესრულდა თუ არა დედ-მამამ მონპელიეში გაჰგზავნეს, სადაც რამდენისამე ხნის შემდეგ თითონაც გადასახლდნენ. ჟან ბენუას სამუდმოდ დაეკარგა ელიზა თვალიდგან. იმისი ფიქრით, მონპელიე შორს იყო, თითქმის მთელის ქვეყნის განაპირას, ასე რომ იქ წასვლა მისთვის ყოვლად შეუძლებელი იყო. ჟანი თავის სიცოცხლეში არ გასცილებოდა მახლობელს ქალაქს, რომელსაც წელიწადში ორჯელ ჰხედავდა ცხვრის იარმუკაზედ გასასყიდად გარეკვის დროს.

ზოგჯერ თავში გაურბენდა აზრი, დაენებებინა თავი სოფლისათვის და წასულიყო სხვაგან, შორს სადმე. მაგრამ სად სხვაგან? რით და როგორ გამოეკვება თავი? ამისი ჟანმა არაფერი იცოდა. იმას უნდოდა მხოლოდ წასვლა საითკენმე და ეს ნდომა, ეს სურვილი უფრო ნათლად იხატებოდა სხვა ნისლ-ბუნდით დაფარულ განზრახვათა და სურვილთა შორის. მაგრამ ამასაც შეეკვეცა ფრთები და გაჰქრა, როგორც თოვლი, უკვალოდ. არ ჰქონდა მოლოდინი არავისაგან არც რჩევისა, არც ხელის შეწყობისა. იმისი ტოლი გოგოები, რომლებთანაც ერთს დროში ჟანი თამაშობით ართობდა დროს, წამოიზარდნენ, დათხოვდნენ და საოჯახო საქმეს მოეკიდნენ. არც ერთს მათგანს ფიქრადაც არ მოსვლია ბენუას შერთვა: გლეხის ქალებიც შედიან ანგარიშში, იციან ვის როგორ უნდა შეჰხედონ. მარტოობა უარარაობა შეიქმნა ჟანის მოუცილებელ თანამგზავრი. ბავშვები, რომელთაც იმის წინანდელ დობილების ალაგი დაიჭირეს, ვერ აკმაყოფილებდნენ. სიჭაბუკის ძალ-ღონე უდუღდა და არ ასვენებდა, რადგან თავის შესაფერს ვერა რას ჰპოულობდა. ნამეტნავად გაზაფხულის დამდეგს, როგორც იმის საქონელს, სისხლი უდუღდა და რაც-და გამოურკვეველ მდგომარეობაში ვარდებოდა. ძარღვები უთრთოდა. უცბად დაუწყებდა ხეებს მტრევასა და ან კიდევ გიჟსავით კლდეებს ცემას, თითქოს იმათი ალაგიდგან შერყევა, დაძვრა უნდაო, და თუ ამ წამს გამარტოებულ ბილიკზედ ჩაივლიდა ქალი, ჟანი მხეცურის გრძნობით გამსჭვალული დააშტერებდა ჩასისხლიანებულს თვალებს, თითქო მივარდნას და შეჭმას უპირებსო.

მაგრამ ბუნების მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის გამო ეს ჟინიც ცოტ-ცოტა ჩაუქრა, შესუსტდა, ბოლოს სულ ჩაუნელდა, თუმცა ჯერ ოც-და-ათის წლისა არც-კი იყო.

ამას შემდეგ იმის ტვინის მუშაობაც შესდგა, თითქმის გაცივდა უსაქმობის გამო. რასაკვირველია, ფიქრადაც არავის მოსვლია ბენუასთვის წიგნის კითხვა და წერა ესწავლებინა. იმისი ენის სალაროს შეადგენდა ორას სიტყვაზედ არა მეტი, ამ სიტყვების ცოდნაც კი მეტი იყო იმისთვის აზრის გარდასაცემად. თავის დღეში მერმისის შესახებ არ უფიქრნია; არ დაჰკვირვებია თავისს თავს, თვისს ცხოვრებას, და ან ვინ ჩააგდებდა გონებაში? სარწმუნოება, არ იცოდა რა იყო, თუმცა ყოველ წლივ შობის დღეს წირვაზედ დაიარებოდა; მაგრამ რისთვის — თითონაც არ იცოდა: მოსწონდა სანთლების ბჭყვრიალი და ორგანის ხმა, სხვა არაფერი.

წელიწადი წელიწადს მისდევდა. ჟანი ზაფხულში სიცხესა ჰგრძნობდა, ზამთარში — სიცივეს. წვიმა უსველებდა მთელს სხეულს და თავით ფეხებამდის აკანკალებდა. ამ გვარის ცხოვრებით, ამ ბუნების მოვლენათა ზედ მოქმედებით ზედა კანი გამოექანა კამბეჩის ტყავივით, კბილებიც-კი დასცვივდა. დარბაისლის ხანში გარდასდგა ფეხი, ნამდვილის მოხუცებულის სახე ჰქონდა. ფეხები და ხელები ერთთავად უკანკალებდა, თითქოს აციებსო.

თავის დღეში არც იცინის, არცა სტირის. იმისი ცხვრებიც არასოდეს არც იცინიან, არცა სტირიან.

ვლ. ვაჩნაძიანელი

ნაკარგებს და განაუკეთესებს. მაგრამ თუ ხალხს გულს გაუტეხთ და იმედს გაუცრუებთ, მაშინ-კი ნულარას მოელით იმათგან.

კასკა ერისთავი

## ნინოშვილის ნაწერების გამოცემა მის შესახებ

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ივერიის“ მე-136 №-ში წავიკითხეთ ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის წერილი ნინოშვილის ნაწერების სრულ გამოცემის შესახებ. როგორც ამბობს პატივცემული ავტორი აუცილებლად საჭიროა ნინოშვილის თხზულებანი ერთად გამოიცეს და არა ცალკ-ცალკე. ბევრი მისი მოთხრობა უკვე დაბეჭდილია წიგნაკებათ. მხოლოდ მაშინ, როცა თვალწინ გვექნება სრული გამოცემა ნინოშვილის ნაწერებისა, ნათლად შეგვეძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა ნიჭიერი და ცხოვრების ღრმა მცოდნე მწერალი დაგვეკარგა ასე უდროოდ. გონორარის შესახებ ბ-ნი გოგებაშვილი ამბობს: ნახევარი მემკვიდრეებს გადაეცემა და ნახევარი სალიტერატურო ფონდსაო. ამის წინააღმდეგ არაფერი გვეთქმოდა, ერთი გარემოება რომ არა გვქონდეს სახეში. განსვენებულს არა ერთხელ უთქვამს: ჩემთვის აღარაფერს ვეძებ, ყოველივე ჩემი შრომა ბიძაშვილის გამოზრდას უნდა მოვახმარო, დარწმუნებული ვარ, იმისგან ნიჭიერი მოღვაწე გამოგვივაო. ამის ჯავრი საფლავშიაც ჩაჰყვა. მისი უკანასკნელი სიტყვა იყო: ეს ყმაწვილი თქვენთვის ჩამიბარებიაო. ბავშვის მშობლებს არავითარი საშუალება არა აქვთ ამ სურვილის სისრულეში მოსაყვანად. რა უფლება გვაქვს ეგნატეს ნაშრომი იმის ბიძაშვილს წავართვათ? რადგანაც სალიტერატურო ფონდიდგან ცოტა დახმარება აღმოუჩინეს განსვენებულს, ამისათვის ამ ფონდის სასარგებლოდ მხოლოდ გონორარის ერთი ნაწილი გადაიდოს, ორი ნაწილი-კი გადაეცეს იმათ, რომელნიც პატარა ინგოროყვას გამოზრდისათვის ჰზრუნავენ. ამ საგნისათვის „კვალის“ რედაქციაში მოგროვილია ცოტა ფული და გონორარიც იმას მიემატოს. იმედი გვაქვს ამას სახეში მიიღებს ბ-ნი გოგებაშვილი.

რაც შეეხება ნინოშვილის ბიოგრაფიის დაწერას, ამ შრომას დიდის სიამოვნებით შევუდგებით. მხოლოდ ამ ჟამად, აქ, უცხოეთში, ამის შესრულება ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია. განსვენებულის ეგნატეს ცხოვრება—მთელი ჩვენი ცხოვრებაა, ის ცხოვრება, რომელშიაც დიდი უმრავლესობაა ჩავარდნილი და სულს ძლივს იბრუნებს. აქ შემსვლელთათვის ყველა კარები ღიაა, მომსვლელთათვის-კი არც ერთი, ვინც ერთხელ მოხვდა ამ მორევში, ის ციბრუტივით ტრიალებს, იმის აზვირთებული ტალღები თავისუფლად მიაქანმოაქანებენ. ზევით ამოსვლისათვის განსაკუთრებული მხნეობა და ნიჭიერებაა საჭირო. ამისათვის არის, რომ ამ უფსკრულიდგან ასე იშვიათად მოგვდის ვინმე იქარუის ჰირ-ვარამისა და ნამდვილ მდგომარეობის გამოსაჩვენებლად. მხოლოდ ისეთის სამაგალითო ენერგიის პატრონს, როგორიც იყო განსვენებული, შეეძლო ეს მუდამ აზობოქრებული ზღვა გამოეცურა და, სულ თუ არა, წელს ზევით მაინც გამოემშრალებინა. მაგრამ ვინ იცის რამდენი ეგნატე თავგამოდებულად ებრძვის იმავე დაბრკოლებას და ბოლოს დაღალულ-დაქანცული უკანვე ვარდება და სამუდამოდ გვეკარგება. აი ეს არის მიზეზი, რომ ასეთი ნიჭიერი მწერალი სალიტერატურო ასპარეზზედ გვიან გამოვიდა. სანამ ის საზოგადოებას ეჩვენებოდა, მანამ დიდი განსაცდელი გამოვლო, განუზომელს შრომასა და დაუსრულებელს ბრძოლაში მიდიოდა მისი დღე. აი აქ არის მისი ბიოგრაფია, აი აქ იწნება და იქსოვება ყოველი ცხოველ-მყოფელი ძაფი იმ ეგნატესი, რომელსაც ჩვენ შემდეგ, მწერლობაში ვხედავთ. ერთის სიტყვით, ხან-მოკლე ეგნატე ლიტერატორს წინ მიუძღვის ხან-გრძელი (შედარებით) ეგნატე-მებრძოლი, ეგნატე-ტანჯული და წამებული. ეს ტანჯვა, ეს ბრძოლა ხომ ხვედრია დიდის უმრავლესობისა. ეგნატეს ბიოგრაფიაც ამ უმრავლესობის ბიოგრაფიაა...

ამისათვის ეგნატე ნინოშვილის რიგიანი ბიოგრაფიის დაწერა, სამწუხაროდ, არ ძალგვიძს აქ, უცხოეთში, სადაც ძალა-უნებურად ყოველივე მასალას მოკლებულნი ვართ.

დასასრულ, გულთადს მადლობას ვუცხადებ ბ-ნ გოგებაშვილს, რომელმაც არ დაივიწყა განსვენებულის ბელეტრისტის სურვილი და იმის ნაწერების გამოცემისათვის ჰზრუნავს. სიკვდილის წინა თვეში მწერდა, ბ-ნ გოგებაშვილთან მაქვს მიწერ-მოწერა ჩემის მოთხრობების გამოცემის შესახებო.

ნ. ჟორდანია

შვეიცარია, სოფ. სანტიე.

## დეპეშა

4 აგვისტო

**ლონდონი.** წარსულს შაბათს ზღვაში ბრძოლა მოხდა იაპონელთ და ჩინელთ სამხედრო გემებს შორის; ამბობენ ჩინეთის გემები დამარცხდნენო.

**პეტერბურგი.** სენატმა გამოაცხადა სია იმ საქონელთა, რომელსაც აკეთებენ რუსეთის ქარხნებში სახელოსნოებში და ოჯახში, რომელთა საზღვარ-გარედ გატანა შეიძლება უბაჟოდ, თუ რომ ამ გასატან საქონლისთვის ცალკე საწყობი და კონტორები არ არის გამართული.

## განცხადებანი


ხარკოვში

„რიგის“ ქუჩაზედ

გაიმართა სასტუმრო

„როშა“

დიდად მოხერხებულია, და იაფი.

საუკეთესო სამზარეულო აქვს ხარკოვში.

სასტუმროსთან არის გამართული უმთავრესი საწყობი რიგას ლუდის ქარხნის „კალდ-შლიოსხენისა“.

ლუდი იგზავნება ყველა ქალაქში. 10—2 (გ. 17)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. შ. კარაპეტიანცი**, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7^1/_2$ საათამდის.

**მ. ი. ფრანციუსი**, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერი-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1467)

ტფილისის საქალაქო მიხეილის სახელოსნო სასწავლებელში შესასვლელად ყმაწვილი უნდა იყოს ხნით $13^1/_2$—18 წლისა, მაგარი აგებულებისა და უნდა იცოდეს პირველ-დაწყებით სასწავლებლის კურსი.

სასწავლებელში ასწავლიან: ზეინკლისა, დურგლისა, თუჯ-რკინა-თითბრის ჩამოსხმულ ნივთების კეთებასა და მჭედლის ხელობას.

თხოვნასთან დირექტორის სახელზედ წარმოდგენილი უნდა იყოს დაბადებისა და ყვავილის აცრის მოწმობანი.

ბავშვების მიღების შესახებ თხოვნის შემოტანა შეიძლება ყოველ დღე, 8 საათიდგან 4 საათამდე.

მისაღები ეგზამენები დაიწყება 25 აგვისტოს.

(3—1613—1)

**ცხოვრება**

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

Maison HERMANN-LACHAPELLE, J. BOULET & C-ie, SUCC-rs

31 et 33 Rue Boinod, პარიჟი.

4 ოქროს მედალი აქვს მიღებული, 1889 წ. მსოფლიო გამოფენისა, ჯვარი საპატიო ლეგიონისა 1888 წელს.

**ხელობადა აქვს ორთქლის მაშინების კეთება.**

| განიერი ნახვრად მოძრავი | მაღალი ნახვრად მოძრავი | მოგრძო უძრავი |
|---|---|---|
| ორთქლის ქვაბები, რომელსაც ბოლისათვის მიხვეულ-მოხვეული ასავალი აქვს, ორის ცილინდრით, 4-დგან 100 ცხენის ძალით. | 1-დგან 100 ცხენის ძალით. | 1 ანუ 2 ცილინდრით 3-დგან 250 ცხენის ძალით |



ორთქლის მაშინები ელექტრონის სინათლის დასადგენად.

პრეის-კურანტები უსასყიდლოდ იგზავნება.

(6—31—1)

საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

„ურბენი“ (L'URBAINE)

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებსკადიან გარდასახადისაგან და პოლის ს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურ ველთ უფასო გაეგზანებათ.

(40—1061—13)

დამზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

**დაზღვევა სიცოცხლისა.**

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

**დაზღვევა ცეცხლისაგან.**

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—37)


Дозволено цензурою Тифлисъ, 4-го Августа 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.